

(სსმ III, 04.06.2010 წ., N 63 მუხ. 937)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
040.030.000.22.028.014.703

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა
დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება N 3/83
2010 წლის 31 მაისი ქ. თბილისი**

**“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის
დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N
3/255 ბრძანებით დამტკიცებულ “საჯარო სამართლის იურიდიული
პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
საექსპერტო კომისიის” დებულებაში დამატების შეტანის შესახებ**

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N3/255 ბრძანებით დამტკიცებულ “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის” დებულების (სსმ III, 08.08.2006, N105, მუხ. 1434) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. საექსპერტო კომისია ამ დებულებით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას წარმოებაში ჩაშვებულ ფილმზე თანხის დამატების თაობაზე. წარმოებაში ჩაშვებულ ფილმზე თანხის დამატების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. რურუა

